ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

სარჩევი

ეკონომიკა..... 2
ბიზნესის ადმინისტრირება 6
ტურიზმი 11
ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში (ინგლისურენოვანი) 14

პროგრამის სახელწოდება	ეკონომიკა Economics
საფეხური	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს: • სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები; • ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. • ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტი გარე ან შიდა მობილობის გზით.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ეკონომიკის ბაკალავრი Bachelor of Economics
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ X კორპუსი, უნივერსიტეტის ქუჩა N2
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საკონტაქტო პირი	**პროგრამის ხელმძღვანელები:** პროფ. ავთანდილ სილაგაძე პროფ. იური ანანიაშვილი პროფ. რევაზ გველესიანი პროფ. სიმონ გელაშვილი პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი პროფ. ეთერ ხარაიშვილი პროფ. მირიან ტუხაშვილი ასოც. პროფ. მალხაზ ჩიქობავა
	პროგრამის კოორდინატორი: პროფ. ეთერ ხარაიშვილი
	ტელ.: +995 599544242 +995 599347092 +995 591939090 +995 599462330 +995 599794949 +995 577248821 +995 599946002 +995 599448536
	ელფოსტა: avtandil.silagadze@tsu.ge iuri.ananiashvili@tsu.ge revaz.gvelesiani@tsu.ge simon.gelashvili@tsu.ge elguja.mekvabishvili@tsu.ge eter.kharaishvili@tsu.ge mirian.tukhashvili@tsu.ge malkhaz.chikobava@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	**ECTS-მოცულობა**
სავალდებულო კურსები	45 ECTS
სავალდებულო მაპროფილებელი	125 ECTS

თავისუფალი არჩევითი კურსები	10 ECTS
დამატებითი პროგრამა (minor)	60 ECTS
სულ	240 ECTS

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ინტეგრირებული ფუნდამენტური თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ეკონომიკის დარგის მრავალმხრივი მიმართულებით დასაქმებისათვის და განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

სწავლის მეთოდები

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- პრაქტიკული მუშაობის მეთოდები;
- დისკუსია/დებატები;
- ევრისტიკული მეთოდი;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- გონებრივი იერიში (Brain storming);
- დემონსტრირების მეთოდი;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
- ახსნა–განმარტების მეთოდი;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
- ჯგუფური მუშაობის მეთოდი.

შეფასების პროცედურები

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით

დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან

აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
შეფასების ფორმები შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისაგან. შეფასებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და იგი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განსაზღვრულია თითოეული კურსის სილაბუსში.

სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:

ცოდნა და გაცნობიერება

- აღწეროს ეკონომიკის ფუნდამენტური კონცეფციები, პრინციპები და თეორიები;
- ახსნას ეკონომიკური მოვლენები და ფაქტები ეკონომიკური ცოდნის უახლესი ასპექტების გათვალისწინებით;
- გამოკვეთოს ეკონომიკური საქმიანობისა და ბიზნეს გადაწყვეტილებების მოტივი, გამოვლენის ფორმები, ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და მოსალოდნელი შედეგები.

უნარები

- გაანალიზოს თეორიული და პრაქტიკული სიტუაციები/განყენებული მონაცემები რთული და გაუთვალისწინებული პრობლემების გადასაჭრელად;
- გადაწყვიტოს რთული და გაუთვალისწინებული ეკონომიკური პრობლემები ტრადიციული ეკონომიკური თეორიებისა და ზოგიერთი უახლესი მიდგომების გამოყენებით;
- მოამზადოს გამოყენებითი/კვლევითი პროექტი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- წარადგინოს ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული დასაბუთებული დასკვნები სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ორგანიზება გაუწიოს განვითარებაზე ორიენტირებულ საკუთარ საქმიანობას ეთიკის პრინციპების დაცვით;
- დაგეგმოს შემდგომი სწავლის საჭიროები საკუთარი ცოდნის შეფასების საფუძველზე.

დამატებითი სპეციალობის პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:

ცოდნა და გაცნობიერება

- აღწეროს ეკონომიკის ფუნდამენტური კონცეფციები, პრინციპები და თეორიები;
- გამოკვეთოს ეკონომიკური საქმიანობის მოტივი, გამოვლენის ფორმები, ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და მოსალოდნელი შედეგები.

უნარი

- გაანალიზოს თეორიული და პრაქტიკული სიტუაციები/განყენებული მონაცემები რთული და გაუთვალისწინებული პრობლემების გადასაჭრელად;
- წარადგინოს ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული დასაბუთებული დასკვნები სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- დაგეგმოს შემდგომი სწავლის საჭიროები საკუთარი ცოდნის შეფასების საფუძველზე.

დასაქმების სფეროები

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ეკონომისტად და ექსპერტად სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურებში. მისი საქმიანობა დაკავშირებულია ეკონომიკისა და ბიზნესის ნებისმიერ სფეროსთან. კერძოდ, კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

- ✓ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- ✓ საქართველოს პარლამენტის აპარატი;
- ✓ საქართველოს მთავრობის კანცელარია;
- ✓ ეკონომიკური პროფილის სამინისტროები და უწყებები (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური);
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი წარმომადგენლობები საქართველოში;
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკი;
- ✓ საქართველოს კონტროლის პალატა;
- ✓ ნებისმიერი ორგანიზაციულ–სამართლებრივი და საკუთრების ფორმის საწარმოები და ორგანიზაციები;
- ✓ ბანკები და სხვა ფინანსური დაწესებულებები;
- ✓ სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბირჟები;
- ✓ არასამთავრობო ორგანიზაციები და ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება Business Administration
საფეხური	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს: • სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები; • ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. • ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტი გარე ან შიდა მობილობის გზით.

სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ X კორპუსი, უნივერსიტეტის ქუჩა N2
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	**პროგრამის ხელმძღვანელები:** პროფესორი გიორგი ღაღანიძე პროფესორი ნუგზარ თოდუა პროფესორი ირაკლი კოვზანაძე პროფესორი დავით ნარმანია პროფესორი ლევან საბაური პროფესორი დემურ სიჭინავა პროფესორი თემურ შენგელია პროფესორი იოსებ ხელაშვილი ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე
	პროგრამის კოორდინატორი:
	ტელ.: +995 599 506 428 +995 593 321 655 +995 577 482 544 +995 599 116 633 +995 577 555 323 +995 599 567 812 +995 595 904757 +995 599 971183 +995 595 053 269

+995 595 788 415
+995 571626320
+995 593250850

ელფოსტა:
giorgi.gaganidze@tsu.ge
nugzar.todua@tsu.ge
irakli.kovzanadze@tsu.ge
davit.narmania@tsu.ge
levan.sabauri@tsu.ge
demur.sitchinava@tsu.ge
temur.shengelia@tsu.ge
ioseb.khelashvili@tsu.ge
natalia.kharadze@tsu.ge
nugzar.paichadze@ tsu.ge
eka.chokheli@tsu.ge
vasil.kikutadze@tsu.ge

პროგრამის სტრუქტურა

კურსის სტატუსი	**ECTS-მოცულობა**
სავალდებულო კურსები	50 ECTS
თავისუფალი	10 ECTS
სავალდებულო მაპროფილებელი	130 ECTS
მ.შ. პრაქტიკა	5 ECTS
დამატებითი პროგრამა (minor)	60 ECTS
სულ	240 ECTS

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან მართვას შეძლებენ. ამაში მათ დაეხმარება მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სამეცნიერო კვლევების განვითარებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

სწავლის მეთოდები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას, ტრადიციულ ლექციებთან ერთად, გამოიყენება პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, პრეზენტაციები და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები, როგორიცაა ტესტირება, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ამოცანების (ქეისების) განხილვა, დისკუსია–სემინარებისა და საქმიანი თამაშების ჩატარება, საპრეზენტაციო პროექტების მომზადება, აგრეთვე საკონსულტაციო და დამოუკიდებელი მუშაობა.

პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის და სხვ. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლით.

შეფასების პროცედურები

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით

დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

შეფასების ფორმები შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისაგან. შეფასებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და იგი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განსაზღვრულია თითოეული კურსის სილაბუსში.

სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- განსაზღვრავს ბიზნესის მართვის თანამედროვე თეორიებს, კონცეფციებს და პრინციპებს;
- აღწერს ბიზნესის დაგეგმვის ეტაპებს და ბიზნესის გარემოზე მოქმედ ფაქტორებს;
- განიხილავს ბიზნესის პროცესებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს;
- დეტალურად ხსნის ბიზნესის გარემოში მიმდინარე მოვლენებს კრიტიკული გააზრებისა და ცოდნის უახლესი ასპექტების გათვალისწინებით.

უნარები

- იყენებს ბიზნესისათვის დამახასიათებელ თეორიულ და პრაქტიკულ სიტუაციებს რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების დასადგენად;

- აანალიზებს ბიზნესის სიტუაციებს კვლევის სტანდარტული ან ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით;
- ამზადებს წინადადებებს ბიზნესის ფუნქციურ სფეროებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისა და გამოვლენილი რისკების მართვის უზრუნველყოფისთვის;
- აკეთებს დასაბუთებულ დასკვნებს ბიზნესის სიტუაციების შეფასებისას, როგორც დამოუკიდებლად, ასევე თანამშრომლობის პრინციპების გათვალისწინებით;
- ახდენს საკუთარი კვლევითი პროექტის (პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის) შესახებ სპეციალისტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ბიზნესის საქმიანობას ეწევა ეთიკის ნორმების, სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით;
- პროფესიული ზრდის მიზნების შესაბამისად ადგენს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებას და მიმართულებებს.

პროგრამის დამატებითი პროგრამის (სპეციალობის) კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- აღწერს ბიზნესის მართვის ძირითად თეორიებს, კონცეფციებს და ბიზნესის გარემოზე მოქმედ ფაქტორებს;
- განიხილავს ბიზნესის გარემოში მიმდინარე მოვლენებს, თავისებურებებს, ფაქტებს კრიტიკული გააზრებისა და ცოდნის უახლესი ასპექტების გათვალისწინებით.

უნარები

- იყენებს ბიზნესის საქმიანობისათვის დამახაიათებელ თეორიულ და პრაქტიკულ მიდგომებს ორგანიზაციების წინაშე არსებული პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრისათვის;
- კვლევის სტანდარტული აპრობირებული და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით აანალიზებს ბიზნესის სიტუაციებს დასაბუთებული დასკვნებისა და არგუმენტირებული წინადადებების მოსამზადებლად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ადგენს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებებს, აგრეთვე, პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების გზებს.

დასაქმების სფეროები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ჩაერთოს ბიზნეს-საქმიანობის პროცესში და დაიკავოს ქვედა და საშუალო რგოლის მენეჯერის თანამდებობა ნებისმიერი სფეროს საერთაშორისო და ეროვნულ ფირმებში. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის ობიექტებია: ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები (მათ შორის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მარკეტინგული ფირმები და ა.შ.), რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული ცოდნა ბიზნესის მართვის სფეროში. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის დასაქმების სფეროებია: ინფორმაციულ–ანალიზური, საწარმოო–გასაღებითი, ეკონომიკურ–მმართველობითი საქმიანობა, კერძოდ, ორგანიზაციების (ფირმების) საქმიანობის სრტატეგიული და ოპერაციული გეგმების ეკონომიკურ დასაბუთებასა და შემუშავებაში მონაწილეობა, საწარმოს ფუნქციონირების ფინანსურ–ეკონომიკური ანალიზის ჩატარებასა და მარკეტინგის პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა და სხვ.

პროგრამის სახელწოდება	ტურიზმი Tourism
საფეხური	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს: • სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები; • ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. • ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტი გარე ან შიდა მობილობის გზით.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში BBA in Tourism
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ X კორპუსი, უნივერსიტეტის ქუჩა N2
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი იოსებ ხელაშვილი ასოცირებული პროფესორი ნანა კაციტაძე

	პროგრამის კოორდინატორი: -
	ტელ.: +995 599971183 +995 555468061
	ელფოსტა: ioseb.khelashvili@tsu.ge nana.katsitadze@tsu.ge

პროგრამის სტრუქტურა

კურსის სტატუსი	**ECTS-მოცულობა**
სავალდებულო საფაკულტეტო	50 ECTS
სავალდებულო მაპროფილებელი	120 ECTS
თავისუფალი	10 ECTS
დამატებითი პროგრამა (minor)	60 ECTS
სულ	240 ECTS

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

• ტურიზმის სფეროში მმართველობითი საქმიანობისთვის საფუძვლიანი თეორიული ცოდნით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ უპასუხონ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმდნენ დარგში მრავალმხრივი მიმართულებით;

• ტურიზმის სფეროსათვის საჭირო თანამედროვე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და განვითარება მართვის, ოპერაციების, სერვისებისა და პროდუქტების მიმართულებით;

• სტუდენტთა პროფესიული პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ფორმირება, კარიერული წინსვლისათვის მომზადება.

ტურიზმის დამატებითი სპეციალობის პროგრამის მიზანია:

გააცნოს სტუდენტებს ტურიზმსა და მასპინძლობაში ბიზნესის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები და გამოუმუშაოს მათ დარგში მიმდინარე პროცესების ანალიზისა და სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 3 გადაწყვეტილებების მიღების უნარები, რაც ხელს შეუწყობს მათ კონკურენტუნარიანობის ზრდას შრომის ბაზარზე.

სწავლის მეთოდები

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; ჯგუფური მუშაობა; დისკუსია/დებატები; ახსნა–განმარტებითი მეთოდი; თანამშრომლობითი სწავლება; პროექტი/რეფერატი; პრეზენტაცია; დემონსტრირების მეთოდი; გონებრივი იერიში; შემთხვევის ანალიზი; საექსპერტო შეფასებისა და სხვ.

შეფასების პროცედურები

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით
დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

შეფასების ფორმები შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისაგან. შეფასებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და იგი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განსაზღვრულია თითოეული კურსის სილაბუსში.

სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:

ცოდნა და გაცნობიერება

- ჩამოაყალიბოს ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ ძირითად სექტორებში მართვის კლასიკური და თანამედროვე თეორიები, კონცეფციები და პრინციპები;
- ახსნას ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში მიმდინარე ტენდენციები და გარემოსთან ურთიერთკავშირი სტანდარტულ და კრიზისულ ვითარებებში;
- განიხილოს ტურისტული პროდუქტის და მომსახურების დაგეგმვასთან, განხორციელებასა და მართვასთან დაკავშირებული საკითხები კრიტიკული გააზრებით.

უნარი

- მოახდინოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების იდენტიფიცირება და შეფასება მდგრადი განვითარების მიდგომების გათვალისწინებით;
- გამოიყენოს ბიზნეს-პროცესებისა და ტურისტული კომპანიების/ორგანიზაციების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები;
- მოახდინოს ტურიზმის და მასპინლობის ბიზნესთან დაკავშირბული ორგანიზაციული პროცესების მართვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენების დემონსტრირება;
- წარმოადგინოს ანგარიშები და პრეზენტაციები წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, საკუთარი პოზიციის არგუმენტირებითა და დასაბუთებული დასკვნებით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ქართულ და უცხო ენებზე, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- წარმართოს ტურიზმსა და მასპინძლობის სფეროში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობა გარემოს მიმართ პასუხისმგებლიანი დამოკიდებულებითა და სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 4 ეთიკის პრინციპების დაცვით;
- დაადგინოს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებები, აგრეთვე პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების გზები.

საბაკალავრო პროგრამის დამატებითი პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება:

ცოდნა და გაცნობიერება.

• ახსნას ტურიზმსა და მასთან დაკავშირებული სფეროების არსი, იქ მიმდინარე ტენდენციები და მასზე მოქმედი ფაქტორები სტანდარტულ და კრიზისულ ვითარებებში;

• განიხილოს ტურიზმისა და მასპინძლობაში პროდუქტების დაგეგმვასათან, ოპერაციებთან, სერვისებისა და პროდუქტებთან დაკავშირებული საკითხები.

უნარი

• მოახდინოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების იდენტიფიცირება და შეფასება მდგრადი განვითარების მიდგომების გათვალისწინებით;

• გამოიყენოს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროსთან დაკავშირებული მართვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ზოგიერთი ასპექტები წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის და სასურველი შედეგების მისაღწევად;

• წარმოადგინოს დასაბუთებული დასკვნები ტურიზმისა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

• წარმართოს ტურიზმის სფეროს განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობა გარემოს მიმართ პასუხისმგებლიანი დამოკიდებულებითა და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით;

• დაადგინოს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებები, აგრეთვე პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების გზები.

დასაქმების სფეროები
ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში მოქმედი კერძო კომპანიები, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები, ასევე, ტურისტული დანიშნულების ადგილის საჯარო და კერძო თანამშრომლობის მენეჯმენტის ორგანიზაციები

პროგრამის სახელწოდება	ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში (ინგლისურენოვანი) **Bachelor Program in Economics of International School of Economics (ISET) at Ivane Javakhishvili Tbilisi State University (in English)**
საფეხური	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	➢ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი

	➢ ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ეროვნულ გამოცდებზე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი კომპეტენციების დადასტურება: • ინგლისური ენა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: 65%+1 • მათემატიკა. ზღვარი: 50%+1 • ქართული ენა და ლიტერატურა: ერთიანი ეროვნული გამოცდებით დადგენილი მოცულობა. ➢ უცხო ქვეყნის მოქალაქეები ჩაირიცხებიან "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №224/ნ, 2011 წლის 29 დეკემბერი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" წესის შესაბამისად. აღნიშნულ ჩასარიცხ კანდიდატებს, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენა არ არის, მოეთხოვებათ წარმოადგინოს ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი.
სწავლების ენა	ინგლისური
კვალიფიკაცია	ეკონომიკის ბაკალავრი Bachelor of Economics
სწავლების ხანგრძლივობა	8 სემესტრი
ECTS	240
სწავლების გადასახადი	3490 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	ზანდუკელის ქუჩა 16, თბილისი 0108, საქართველო
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET)
საკონტაქტო პირი	**პროგრამის ხელმძღვანელები:** ზურაბ აბრამიშვილი გიორგი ფირიაშვილი
	პროგრამის კოორდინატორი:
	ტელ.: 591055788 ზურაბ აბრამიშვილი
	ელფოსტა:

	z.abramishvili@iset.ge g.piriashvili@iset.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო	185 ECTS
არჩევითი	35 ECTS
თავისუფალი	20 ECTS
სულ	240 ECTS

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სტუდენტების მომზადება წარმატებული აკადემიური და პრაქტიკული კარიერული წინსვლისთვის ეკონომიკის სფეროში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ამ მიზნის მისაღწევად, პროგრამა აერთიანებს ინგლისურ ენაზე შემოთავაზებული, მსოფლიოს წამყვანი ინსტიტუტების/პროგრამების მიერ დაწესებული სტანდარტების შესაბამის თეორიულ განათლებას და ძლიერ პრაქტიკულ ტრენინგს, რომელიც განხორციელდება კურიკულუმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი პრაქტიკული და ტექნიკური საქმიანობების განხორციელების გზით.

პროგრამის ძირითადი მიზანია ეკონომიკის სფეროში ეფექტური პრაქტიკოსების მომზადება, რომლებიც ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის ფართო სპექტრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ. პროგრამა სტუდენტებს დაეხმარება ანალიტიკური უნარების გამომუშავებაში, ასევე ისეთი პიროვნების ჩამოყალიბებაში, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებელი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას. სწავლის უნარების განვითარებასა და შეძენილი ცოდნის ცვალებად გარემოზე მორგებაში.

სწავლის მეთოდები

- **ვერბალური;**
- წერითი;
- პრაქტიკული;
- ახსნა-განმარტებითი;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- პროექტები;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური მუშაობა;
- თანამშრომლობითი სწავლება;
- გონებრივი იერიში (Brainstorming);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- სიმულაცია/მოდელირება;
- დემონსტრირება;

- ინდივიდუალური/ჯგუფური პროექტი.

შეფასების პროცედურები

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით
დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

შეფასების ფორმები შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისაგან. შეფასებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და იგი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განსაზღვრულია თითოეული კურსის სილაბუსში.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ, ბაკალავრებს გააჩნიათ მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ეკონომიკასა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში, მათ შორის:

- ეკონომიკური პრინციპების ფუნდამენტური ცოდნა. აღნიშნული პრინციპები შეეხება არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღებასთან, საქონლის წარმოებასა და გაცვლასთან, ფასწარმოებისა და რესურსების ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბაკალავრმა იცის ეკონომიკის სხვადასხვა საკითხების გრაფიკულად განხილვა და მათემატიკული მეთოდებით მოდელირება. მაგ, ფასების ფორმირებასთან დაკავშირებული, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. ბაკალავრს გაცნობიერებული აქვს ეკონომიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა უმუშევრობა, ეკონომიკურ ზრდა, ინფლაცია, საგადასახადო ბალანსი და ა.შ.
- სპეციალიზებული ეკონომიკური საკითხების ცოდნა. ბაკალავრს გააჩნია ეკონომიკური პოლიტიკის შექმნასთან დაკავშირებული ცოდნა, კარგად აქვთ გააზრებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის ხელშეწყობის პოლიტიკა, გადანაწილების პოლიტიკა, ასევე, აქვთ ცოდნა საბაზისო ფინანსური კონცეფციების და ინსტიტუტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.
- ანალიტიკური და რაოდენობრივი მეთოდების ცოდნა და გააზრება. ბაკალავრს გააჩნია ცოდნა სხვადასხვა ანალიტიკური და რაოდენობრივი მეთოდების შესახებ, ფლობს შესაბამის მათემატიკურ და სტატისტიკურ მეთოდებსა და ეკონომეტრიკულ ტექნიკას, გააჩნია ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ გააკეთოს არჩევანი ალტერნატიულ მეთოდებს შორის, ნებისმიერ მოცემულ სიტუაციაში.

- კვლევითი მეთოდების ცოდნა. ბაკალავრი ფლობს სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებულ კვლევის მეთოდებს და იცის სპეციალიზაციის სფეროში სხვა სწავლულების მიერ ჩატარებული კვლევევის გაანალიზების მიდგომები.

უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ, ბაკალავრებს შეძენილი ექნება შემდეგი ტიპის მრავალმხრივი უნარები:

- ეკონომიკის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში წარმატებით გამოყენების უნარი. ეკონომიკური კონცეფციების გამოყენება სხვადასხვა ეკონომიკური სიტუაციების გასაგებად და ამ სიტუაციების მოდელების შექმნა და ანალიზი, ასევე შეუძლია იმის დადგენა, თუ როგორ და როდის გამოიყენება სხვადასხვა ეკონომიკური პოლიტიკა და რა შედეგებს უნდა მოელოდნენ მათგან.
- რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით მონაცმების გაანალიზების უნარი. კონკრეტულ დავალებასთან/პრობლემასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება, შეგროვება, ორგანიზება, მენჯმენტი, შეფასებების მიღება და შედეგების პრეზენტაცია. ასევე, მონაცემების გაანალიზებისთვის საუკეთესო ემპირიული მეთოდების იდენტიფიცირება, შესაბამისი სტატისტიკური პროგრამული ინსტრუმენტების გამოყენება და ამ ანალიზის შედეგების სწორად ინტერპრეტირება.
- დასკვნის უნარი. დამოუკიდებლად შეუძლია ახალი და განყენებული მონაცენებისა და/ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. არსებული პრობლემის შესაბამისი ინფორმაციის იდენტიფიცირება, სტრატეგიული აზროვნება, სტრატეგიების, შედეგების, ინფორმაციისა და მოტივაციის (სტიმულების) განსაზღვრისა და შედარების ეფექტურად გაანალიზება, ძველი და ახლანდელი ინფორმაციის შეჯამება და არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოკვეთილი მოდელების გათვალისიწნებით პროგნოზირება.
- კომუნიკაციის უნარი. ბაკალავრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა და პროექტის დეტალური და მომცველობითი წერილობითი ანგარიშის მომზადება. კვლევის მოკლე მიმოხილვის და საჯარო პოლიტიკის ნარკვევის მომზადება. კვლევის მიგნებების მოკლე შეჯამების გაკეთება და ამ შეჯამების სხვადასხვა ფორმატით წარდგენა. პრეზენტაციის მომზადება და მისი ეფექტური წარდგენა, ინგლისური ენაზე, ინგლისურად წაკითხული ლიტერატურის სრულყოფილად გაგება, გააზრება და დამუშავება. ბაკალავრს ასევე შეუძლია პროფესიულ დისკუსიებსა და დებატებში აქტიური მონაწილეობა, არაპროფესიონალებთან კომუნიკაცია, სოციალურ ინტერაქციებში ჩართვა და საკუთარი იდეების საზოგადოებისთვის გაზიარება, სხვა სფეროების (არა-ეკონომიკური) პროფესიონალებთან კომუნიკაცია, გუნდურად და დამოუკიდებლად მუშაობა.
- სწავლის უნარი. ბაკალავრს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით, საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა. ეკონომიკაში წარმატებული პრაქტიკისათვის მიმდინარე მუდმივი ცვლილებებზე რეაგირება და ახალი უნარებისა და ცოდნის მიღებისთვის მზადყოფნა, მუდმივი თვითგანათლების და მოქნილი აზროვნების ინტერესის სტიმულირება. სამუშაო უნარების და პრაქტიკის განვითარება.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- პასუხისმგებლობა. მონაწილეობს ეკონომიკის სფეროსა და საზოგადოდ ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად, აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა და აცნობიერებს ეთიკის ძირითად პრინციპებს, პატივს სცემს მრავალფეროვნებას, მონაწილეობს ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში, ახდენს ენთუზიაზმისა და ინიციატივის დემონსტრირებას.
- აკადემური ეთიკის საკითხები. გამომუშავებული აქვსი იმ ეთიკური პრობლემების ამოცნობის, გააანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს ორგანიზაციასა და საზოგადოებაში. აქვს ნაკისრი ვალდებულებების პუნქტუალურად განხორციელების და ბოლომდე მიყვანის პასუხისმგებლობა

- ავტონომიურობა. დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის, საკუთარ თავზე მუშაობის, ცოდნის მუდმივად განახლების, დიდი მოცულობის ინფორმაციასთან მუშაობისა და დროითი შეზღუდვების პირობებში მუშაობისათვის საჭირო უნარები; ეკონომიკის დარგში უახლესი ინფორმაციის მიღების და გაცვლის გამოცდილება წამყვანი ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით. უწყვეტი განათლების მღების მზაობა და ავტონომირად გაგრძლების უნარი.

დასაქმების სფეროები

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა დასაქმებაში ხელშეწყობას, დასაქმებას წარმატებული კარიერისთვის შრომის ბაზარზე და/ან აკადემიურ საქმიანობაში.

სწავლების ბოლო წელს ხდება დასაქმების ორიენტაციის სესიის შეთავაზება (არა სავალდებულო აქტივობა), რომლის დროსაც ხდება სტუდენტის ოპტიმალური კარიერული არჩევანის და დასაქმების პოტენციალის შეთავაზება.

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან როგორც საჯარო (ეროვნულ ბანკში, ფინანსთა სამინისტროში, ეკონოიმკის სამინისტროში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, კონკურენციის სააგენტოში, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, სახელმწიფო ელექტროსისტემაში, ა.შ.) ასევე კერძო სექტორში (კომერციული ბანკები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ა.შ.).